

ისტორია History

იაკობ რაინესი და საქართველო

მანანა ფხაკაძე, ქეთევან გარდაფხაძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: makopkh@gmail.com
<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.17>
SJIF 2024: 8.268

XVIII საუკუნის გერმანელმა მოგზაურმა, რუსეთის ემისარმა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეფის კარზე 1777-1781 წლებში, ავანტიურისტმა იაკობ რაინესმა (1744-1793 წწ) სპეცდავალების (საქართველოში წიაღისეულის, მინერალური წყლების, მეტალების, ნახევრად ძვირფასი ქვების, ნავთობის შესწავლა) შესრულებასთან ერთად გარკვეული კვალი დაამჩნია ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და საბუნებისმეტყველო - ტექნიკურ ცხოვრებას. მან ბევრი ევროპული ტექნიკური სიახლე ქართულ პრაქტიკაში დაამკვიდრა. იაკობ რაინესმა წარმატებით დაასრულა თავისი მისია, დაარწმუნა მეფე ერეკლე ხელი მოეწერა გეორგევსკის ტრაქტატზე და თავისი ღვაწლი ამ საქმეში ხელმოწერითაც განამტკიცა.

საკვანძო სიტყვები: რაინესი, საქართველო, ისტორია, წიაღისეული

იაკობ რაინესის ცნობები საქართველოს შესახებ. XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური, ექიმი და ბუნებისმეტყველი იაკობ რაინესი (1744-1793 წწ) 1777-1781 წლებში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის (1720-1798 სს) კარზე მოღვაწეობდა საქართველოში და მან გარკვეული კვალი დაამჩნია ჩვენი ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და საბუნებისმეტყველო - ტექნიკურ ცხოვრებას.

რაინესის ნამდვილი გვარ-სახელი იყო ქრისტიან-რუდოლფ ელიზი. 1762 - 1768 წლებში მედიცინას ეუფლებოდა ლაიპციგში. საფუძვლიანად შეისწავლა აგრეთვე ქიმია და მინერალოგია. 1773 წელს ქ. ტირნაუში (უნგრეთი) მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი. 1776 წელს გაემგზავრა აღმოსავლეთში, რასაც წინ უსწრებდა მოსამზადებელი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მან შეისწავლა რამდენიმე აღმოსავლური ენა. ამასთან ერთად საბოლოოდ დახვეწა თავისი ცოდნა გამოყენებითი მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორცაა ტექნიკური ქიმია, მინერალოგია, სამთო საქმე და მეტალურგია.

რაინესით, როგორც საბრძოლო საქმეებში ჩახედული სპეციალისტით, დაინტერესდა რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის მინისტრი გრიგოლ პოტიომკინი და საგანგებო დავალებით ის 1782 წელს საქართველოში გამოაგზავნა ერეკლესა და იმერეთის მეფე სოლომონის რუსეთის მხარეზე გადასაბირებლად. 1783-1787 წლებში რაინესი ექიმად მუშაობდა

ასტრახანაში, ხოლო 1787 -1793 წლებში ის ძირითადად პეტერბურგში იმყოფებოდა და გარდაიცვალა იქვე 1793 წ.

ქართულ საზოგადოებაში მან სახელი გაითქვა როგორც დახელოვნებულმა ექიმმა. ერეკლე მეფისათვის, რომელიც ქვეყნის სამთო-მეტალურგიული წარმოების განვითარებისათვის ყველაფერს აკეთებდა, რაინეგსი ის შეუცვლელი მრჩეველი და სპეციალისტი აღმოჩნდა, რომელსაც შეეძლო მრავალი ევროპული ტექნიკური სიახლე ქართულ პრაქტიკაში დაემკვიდრებინა. გერმანელმა მკვლევარმა, რომელიც ვენაში მსახიობობდა, კულტურის სფეროშიც გამოიჩინა თავი, მას მონაწილეობა უნდა ჰქონოდა მიღებული 1780 წელს ქართული თეატრის დაარსებაში [გელაშვილი 2002:42].

რაინეგსის ცნობები სააქართველოს შესახებ მისი გარდაცვალების შემდეგ გერმანულად პეტერბურგში 1796-1797 წლებში გამოიცა ნაშრომით “Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus“. “აღწერილობას” დაერთო ი. რეინეგსის ბიოგრაფია, რომელიც შეადგინა მოგზაურის ნაცნობმა და ბიოგრაფმა ი. გ. გერსტენბერგმა [Reineggs, J. 1797]. ამ “აღწერილობიდან” უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებული მასალები რაინეგსის ბიოგრაფიასთან ერთად ქართულ ენაზე თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა [გელაშვილი 2002].

რაინეგსის “მოგზურობა საქართველოში” უაღრესად საინტერესო მასალებს შეიცავს XVIII ს. II ნახევრის საქართველოს კულტურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ეკო-ნომიკისა და ა.შ. სფეროებიდან. განსაკუთრებით საინტერესოა ქვეყნის სხვადასხვა მხარის მინერალური რესურსების საკმაოდ დეტალური აღწერილობა, რომელიც ამ რესურსების ადგილზე შესწავლის საფუძვლზე არის შედგენილი.

პირველ რიგში უნდა შევეხოთ ი. რაინეგსის იმ მოსაზრებებს, რომელსაც ის საქართველოსთან და ქართველ ხალხთან დაკავშირებით გამოთქვამს. მისი პირველი შთაბეჭდილება ქვეყნის შესახებ ცოცხლად არის წარმოდგენილი ფრაგმენტში, რომელიც მოგზაურის საქართველოში შემოსვლის ეპიზოდს აღწერს. თუმცა ეს ფრაგმენტი მოგზაურის ბიოგრაფს ი. გერსტენბერგს ეკუთვნის, მაგრამ ის რაინეგსის ჩანაწერებისა და წერილების გამეორებას წარმოადგენს და პირველწყაროს სტატუსით მის გამონათქვამს ასეთი სახით გადმოსცემს: -“რაინეგსმა ...დაინახა ცამდე აწვდილი იქაური მთები, სადაც ერთმანეთზე მიჯრილი ქედები კავკასიამდე აღწევენ და გადამთიელ მეზობელს უნშობენ შესასვლელს... კეთილმა ბუნებამ დაიცვა ქვეყნისა და ერთი მუჭა ხალხის მდიდარი საგანძური, რომელმაც შექმნა ნარევი, რაც აზიასა აქვს განსაკუთრებული და ევროპას თავისებური, აქ ერთად მოაქცია” [გელაშვილი 2002:79-80].

ციტირებულ ფრაგმენტში ზუსტად არის აღნიშნული, რომ ქართველები აღმოსავლური და ევროპული კულტურების ურთიერთშერწყის მატარებელ ხალხს წარმოადგენდა, რომელსაც “კეთილი ბუნება” “გადამთიელი მეზობლიდან” იცავდა ზღუდედ ამართული კავკასიონის ქედების სახით (თუმცა შემდგომში ერთმორწმუნე რუსეთი ის “გადამთიელი მეზობელი” გახდება, რომელიც “ერთ მუჭა ხალხს” ვერაგულად თავს დაესხმება და კავკასიონი საფარი ზღუდის დანიშნულებას უკვე ვეღარ შეასრულებს). რაინეგსი ქართველების ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას აღნიშნავს: „არასოდეს ნაცნობი და სახელოვანი მგზავრი იბერიელის სახლს ისე ვერ ჩაუვლის, რომ ბიჭმა კვერცხები, თაფლი და ღვინო არ დაახვედროს და თუ სტუმარი წასვლას დააპირებს, აიძულებენ ან ცოტა გასინჯოს, ანდა თან წაიღოს” (გელაშვილი გ. 2002:136). განსაკუთრებით უსვამს ხაზს ი. რაინეგსი ქართველების შემწყნარებლობასა და კეთილგანწყობას თანამოსახლე სხვა ერის წარმომადგენლებისადმი. მრავალსუკუნოვანი მეგობრობის თვალსაჩინო გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ავტორის შემდეგი ცნობა ცხინვალში მცხოვრები ებრაელების შესახებ: „ებრაელებს აქ არა აქვთ მცირე მისწრაფებაც კი მევახშეობისა და ვაჭრობისადმი; ეწევიან მხოლოდ მემინდვრეობას და სხვა ქართველი გლეხებივით ცხოვრობენ. ისინი ისევე დაბეგრული არიან გადასახადებითა და საბატონო ბეგარით, მათთან ერთად მიდიან ომში და ქართველებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სახელწოდებითა და

რელიგიით” [გელაშვილი გ. 2002:153]; მაგრამ მას ასევე ქართველების ნაკლები მხარეებიც არ დარჩენია შეუმჩნეველი: „იბერიელი ისევე ამაყია, როგორც უდარდელი” – აცხადებს ის – “როცა იყინება, მაშინ შეაგროვებს შეშას და როდესაც შია, მხოლოდ მაშინ მოიფიქრებს მოძებნოს, აქვს თუ არა რაიმე საჭმელად” [გელაშვილი 2002:136]; “ისინი ისე ყოჩაღები და დაუღალავები არ არიან, როგორც ურთიერთ ქიშპსა და ბრძოლებში” [გელაშვილი 2002:178].

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა რაინეგსზე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ, რომლის მიწვევითაც ის საქართველოში ჩამოვიდა. მოგზაურის ბიოგრაფი ი. გერსტენბერ-გი აღნიშნავს, რომ ის ძალზე თბილად მიიღო მეფემ და ხანგრძლივმა საუბარმა დაადასტურა ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა და სიმპათიები. ერეკლე, ბიოგრაფის სიტყვებით, „დარწმუნებული იყო, რომ რაინეგსი ნახავდა იმას, რისი იმედიც ჰქონდა; ეს უკანასკნელი კი მბრძანებლის პიროვნებაში ნამდვილად ხედავდა კაცს, რომლის მსგავსი საუკუნეებში ერთი თუ იბადება” [გელაშვილი:2002:81]. თავის მხრივ, რაინეგსიც არ მალავს თავის კეთილგანწყობასა და პატივისცემას ქართლ-კახეთის მეფის მიმართ და შესაბამისად ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: “მეფე ერეკლეში მე დავინახე ღირსეული კაცი, როგორც შეიძლება ბუნებამ შექმნას. მე ის შევიყვარე და ჩვენი მეგობრობა ისე გაღრმავდა, რომ მას მამასაც კი ვეძახდი” [გელაშვილი 2002:89].

მეგობრობის გაღრმავებას უდაოდ შეუწყო ხელი საქართველოს წიაღისეულის საკმაოდ დეტალურმა შესწავლამ, რომელიც რაინეგსმა ერეკლეს დავალებით ჩაატარა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ ქართულ პრაქტიკაში მთელი რიგი ევროპული ტექნიკური სიახლეების დანერგვას, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

რაინეგსის ზოგადი ცნობებიდან, რომლებიც საქართველოს ისტორიას შეეხება, ყურადღებას იქცევს ინფორმაცია ხალხში გავრცელებული თქმულების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ ნიმუშად „მოგზაურობიდან” შეიძლება დავასახელოთ უძველესი თქმულება ბაგრატიონთა გვარის დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით რაინეგსი აღნიშნავს: „იბერიელები და მათთან ერთად გეორგიელები ამტკიცებენ, რომ მათ სამეფო გვარი ქალწული მარიამისაგან და პირდაპირი დავითისაგან წარმომავლობს, და რომ ის ქვეყნის დასასრულამდე იმეფებს” [გელაშვილი : 2002:175]. „იბერიელებში” აქ ძველი, ხოლო “გეორგიელებში” ახალი (ე.ი. XVIII ს) ქართველები იგულისხმება. ასე რომ ამ ლეგენდას რაინეგსი როგორც მწიგნობრული გზით, ისე ქართული ზეპირსიტყვიერების საშუალებით უნდა გასცნობოდა [გელაშვილი :2002: 163, 175). მეორე ასევე ძველი თქმულება ქართველთა და ესპანელთა ნათესაობას შეეხება, რომელთა ქვეყნების ძველი სახელწოდება ერთი და იგივეა და „იბერია” არის ცნობილი. რაინეგსის სიტყვებით, ქართველები “ძველი ზეპირი გადმოცემებით ამტკიცებენ, რომ ისინი აქ ესპანეთიდან გამოგზავნეს ლითონების დასამუშავებლად. მათ სახელი იბერია ესპანეთიდან მომდინარედ მიაჩნიათ” [გელაშვილი:2002:174].

რაინეგსის ეს ინფორმაცია ერთ სიახლეს შეიცავს, რომელიც სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის. კერძოდ, საქართველოში ჩამოსვლის მიზეზად ლითონების დამუშავებაა დასახელებული, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ძველი ქართველების კავშირს სამთამადნო-მეტალურგიულ ხელოვნებასთან. სხვათა შორის, თავად რაინეგსს ეს თქმულება საკმაოდ სანდოდ მიაჩნდა, ვინაიდან ქართლ-კახეთის წიაღისეულის დეტალური გამოკვლევისას ის არაერთხელ წააწყდა ძველი გამონამუშავრების და მიტოვებული მადაროების კვალს. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა მას, “რომ დღევანდელი იბერიის მთები ძვირფასი ლითონებით ძალზე მდიდარია და მართლაც, როგორც ჩანს, ძველად დაუმუშავებიათ” [გელაშვილი 2002:124].

რაინეგსს უყურადღებოდ არც ზოგიერთი ძველი ეპიგრაფიკული ძეგლი დაუტოვებია: “მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე ნახევრადდანგრეულ ძლიერ ციხეში არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ყოფილა წარწერა, რომლიდანაც განსწავლულ ქართველებს ბერძნულ ენაზე დაწე-რილი სიტყვა აკროსტოპოლისი ამოუკითხავთ” [გელაშვილი 2002:156]. ასევე საინტერესოა რაინეგსის მიერ მოხსენებული მეორე წარწერაც, რომელიც თბილისს ეხება. ავტორი არ აზუსტებს, თუ კონკრეტულად რომელ ციხე-სიმაგრეში იყო მის დროს ეს წარწერა და მხოლოდ ზოგადად

აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი „ერთი ძველი წარწერით, რომელიც ჯერ კიდევ ციხე-სიმაგრეში ჩანს, ერთ-ერთი მმართველის, ლევანის მიერ 1063 წელს უნდა იყოს აშენებული“ [გელაშვილი 2002:158]. აღნიშნული ცნობა აშკარად დამახინჯებულად არის გადმოცემული. ვინაიდან XI ს-ში “მმართველი ლევანი” არ არის ცნობილი და მითუმეტეს ჯერ კიდევ V ს დაარსებული ქალაქის “აშენების “ თუ დაარსების თარიღად 1063 წლის დასახელება კიდევ უფრო უხემ შეცდომას წარმოადგენს. მაგრამ მეორეს მხრივ, სწორედ ამ 1063 წლის დასახელება არის ნიშანდობლივი, ვინაიდან ცნობილია, რომ ამ წელს ეს ქალაქი მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ) ხელში გადავიდა [ნარკვევები 1979:168]. ამიტომაც რაინეგის ეს ცნობა ყურადსაღებია.

საქართველოს ისტორიული წარსულის იმ ობიექტებს შორის, რომლებმაც რაინეგის ყურადღება მიიქციეს, კლდეში ნაკვეთი ქალაქები და დასახლებები იყო. მაგალითად, უფლისციხე [გელაშვილი 2002:194-195]. რაინეგს, როგორც სამთო საქმის სპეციალისტს, უდაოდ კარგად უნდა სცოდნოდა, თუ რა სიმწიფეები უნდა დაეძლიათ კლდის მკაფავ ქართველებს ასეთი კომპლექსის შექმნისას. ამავე დროს ის ხაზს უსვამს გარემოებას, რომ საქართველოში უფლისციხის მსგავსი ქალაქები იშვიათობა როდი არის „ამნაირი შრომით კლდეში ნამოღვაწარს“ - აცხადებს ის – ბევრგან ვხვდებით და ხშირად ისეთ ადგილებში, სადაც ამჟამად მისვლა შეუძლებელია“ [გელაშვილი 2002:195]. მისი განმარტებით, უფლისციხის მსგავსი პუნქტები ქართველებს თავდაცვისათვის ესაჭიროებოდათ იმ მრავალრიცხოვანი მტრებისაგან, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გამაჩანაგებელ ლაშქრობებს აწყობდნენ საქართველოზე [გელაშვილი 2002:195,152] და თავდაცვის გარდა კლდის სათავსოებს ბერთა სადგომადაც იყენებდნენ. რაინეგის ეს აღწერილობა დავით-გარეჯის ცნობილ მონასტრებს – საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს სამონასტრო ანსამბლს ეხება, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საეკლესიო და საგანამანათლებო ცენტრს წარმოადგენს.

რაინეგის სხვა ცნობებიდან უდაოდ ყურადღებას იმსახურებს ცნობა ვახვახიშვილთა ბრწყინვალე გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის შესახებ, რომელიც მის „მოგზაურობაში“ ასე არის წარმოდგენილი: ”ამ... გვარიდან არის ქართველი ბერი, რომელიც თორმეტი წლის მანძილზე რუსეთში სწავლობდა და 1780 წელს დიდი ცოდნით შეიარაღებული საქართველოში (გეორგიაში) დაბრუნდა და თელავში სკოლა დაარსა. მისმა დაულაღავმა სიბეჯითემ და გასაგებმა სწავლებამ გააღვიძა მისი თანამემამულეების ნიჭი“ [გელაშვილი 2002:102].

რაინეგის ეს ცნობა გაიოზ რექტორის (1745-1821) და მისი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის შესახებ, მრავალმხრივ არის საყურადღებო. რაინეგს ადასტურებს ამ მოღვაწის რუსეთში თორმეტწლიან სწავლას, ისევე როგორც მის მიერ თელავის სემინარიის დაარსების ფაქტს. თუმცა დაზუსტებას მოითხოვს თვით დაარსების წელი, ვინაიდან ქართული წყაროებით ის 1782 წელს შეესაბამება, რაინეგს კი 1780 წელს ასახელებს. ასევე დასაზუსტებელია გაიოზის გვარიც, ვინაიდან ქართული წყაროებით ვარაუდობენ, რომ ის ბარათაშვილი უნდა ყოფილიყო [ლექსიკონი 2007: 179], მაშინ როდესაც რაინეგს მას ვახვახიშვილად ასახელებს.

რაინეგის ზოგადი სახის ცნობების მიმოხილვა შეიძლება ზემომოყვანილი ფრაგმენტით დავასრულოთ და გადავიდეთ იმ საკითხის განხილვაზე, რომელიც გერმანელი მოგზაურის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი გახდა. „მოგზაურობაში“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს მინერალური რესურსების აღწერილობას, რომელიც რაინეგს პირადი გამოკვლევის საფუძველზე შეუდგენია. თუ რა გულდასმით ჩატარდა ეს გამოკვლევები, ამაზე ერთდროულად რამდენიმე ფაქტი მიუთითებს. მაგალითად, ერთ-ერთი ლოკალური უბნის ზედაპირული ქანების შესწავლისას რაინეგსმა დეტალურად 21 ნაკადუ-ლის კალაპოტი გამოიკვლია [გელაშვილი 2002:87]. თავის კვლევებში ის მხოლოდ ორგანოლექსიკური ანალიზით როდი შემოიფარგლებოდა, არამედ ქიმიური ანალიზის მეთოდებსაც იყენებდა. ეს ნათლად ჩანს თხზულების ერთ-ერთი ფრაგმენტიდან, რომელიც ტექსტში რაინეგის სამუშაო ჩანაწერიდან უნდა იყოს მოხვედრილი. აქ საანალიზო მინერალის იდენტიფიცირების მიზნით, ის სხვადასხვა არაორგანულ მჟავებში ხსნადობაზე არის შემოწმებული [გელაშვილი 2002:189]. ამ მხრივ საინტერესოა რაინეგის მიერ თბილისი-დან მეგობრისადმი გაგზავნილი წერილი (1780

წ. 21. 01), საიდანაც ჩანს, თუ რა ფართო მასშტაბებით იყენებდა ის ქიმიურ მეთოდებს თავისი გამოკვლევების ერთ-ერთად ციკლში: „ბამბის ქსოვილების წითლად ღებვა საფუძვლიანად შვეისწავლე და ის შეცდომა, რის გამოც მან ევროპაში ფეხი ვერ მოიკიდა, ქიმიური გამოკვლევებით აღმოვაჩინე“ [გელაშვილი 2002: 91].

რაინეგსმა საქართველოს მინერალური რესურსების შესწავლისას ქვეყნის თითქმის ყველა პერსპექტიული კუთხე მოინახულა. ამასთან ერთად უდავოდ ერეკლე მეფის დავალებით, ისევე როგორც ეს კეთდებოდა აკადემიკოსს ი. გულდენშტედტის გამოკვლევების დროს 1771-1772 წწ, სხვადასხვა პუნქტიდან მინერალების და მადნების ნიმუშებს უგზავნიდნენ შესამოწმებლად. ამ გზავნილებიდან ორს მკვლევარი ასეთი სახით მოიხსენიებს: “გურიიდან მივიღე არაჩვეულებრივად ლამაზი მარმარილო” [გელაშვილი 002:142] და “ვახანშიც მივიღე ერთი ნატეხი მდიდარი ვერცხლის მკრთალი მადნიდან” [გელაშვილი 2002:189].

გამოსაკვლევ წიაღისეულში შედიოდა როგორც სხვადასხვა დანიშნულების ქვები, ისე ქიმიური ნაერთები, მინერალური წყლები და რაც მთავარია, მეტალების (ძირითადად ოქრო-ვერცხლის, რკინის, სპილენძის და ტყვიის) შემცველი მადნები.

სასარგებლო წიაღისეულიდან XVIII ს. საქართველოში ფართო გამოყენება ჰქონდა სხვადასხვა სახის ქვებს. მათ შორის რაინეგსი ხშირად მოიხსენიებს მარმარილოს, რომელიც, მისი ცნობით: „კახეთში რამდენიმე ადგილას ცნობილია [გელაშვილი 2002:157]. კახეთშივე “გრემთან მთელ საქართველოში საუკეთესოდ აღიარებული, არაჩვეულებრივად ძვირფასი ალებასტრის მოპოვებას აწარმოებენ, ხოლო არსიანის მთის აღმოსავლეთით განთავსებულ სამტეხლოში თეთრ მარმარილოს “მრავალი ასეული კაცი ამუშავებს”. მას იყენებენ საფლავის ქვებად, აბანოების და აბაზანებისათვის, იატაკის დასაგებად და ა. შ. [გელაშვილი 2002: 151, 159, 198]. ქვების სხვა სახეობებიდან რაინეგსი ასახელებს – წისქვილის ქვებს- ლორეში, ტალკს – არსიანის მთასთან, სალეს ქვას - ახალციხის მიდამოებში. ამ უკანასკნელს, სიმაგრის მისანი-ჭებლად ადგილობრივი ხელოსნები ზეთში ხარშავენ, რის შემდეგადაც ზეთით გაჟღენთილი ქვა საგრძნობ სისალეს იძენს [გელაშვილი 2002: 159, 190-191]. გელათთან რაინეგსი გაეცნო გიშრის წარმოებას, რომელთან დაკავშირებით ის აცხადებს: “მე არ მახსოვს სადმე ისეთი მშვენიერი გიშერი მენახოს, როგორც გელათში” [გელაშვილი 2002:198].

რაინეგსის ყურადღება ქიმიურმა სარეწებამაც მიიქცია, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ფუნქციონირებდნენ. ახალციხის მახლობელ პუნქტში, მისი ცნობით “მზადდება კარგი ხარისხის ბორაქსი”, (მარილი), რაც მისი შემცველი წყაროს წყლიდან გამოლექვის ოპერაციის საშუალებით ხორციელდება [გელაშვილი გ. 2002: 144, 191]. დუშეთთან აწარმოებენ “სუფთა მინერალურ სასაქმებელ მარილს”, რომელშიც იმ დროს მედიცინაში გავრცელებული “ინგლისური მარილი” ანუ მაგნიუმის სულფატი იგულისხმება. ახალგორთან მკვლევრების ყურადღება მიიქცია შაბიამნის სარეწმა, რომელსაც ფართო გამოყენება ჰქონდა ღებვის საქმეში [გელაშვილი 2002: 194, 19]. კახეთში რაინეგსმა დააფიქსირა შაბის მოპოვების საინტერესო წესი, რომელიც ქიმიური მეთოდების საშუალებით ხორციელდება. კირქვისა და შაბის მკვრივ ნარევეს ჯერ ცეცხლზე ახურებენ, რის შედეგადაც კირქვა ფქვილისებურ კირად იშლება. ამ ფქვილისაგან ადვილად გამოცალკევებულ შაბის მკვრივ გორახებს ჰაერზე ტოვებენ, ვიდრე ისინი მსხვრევადი არ გახდებიან, ამის შემდეგ მათ ნაყავენ და სამეზის ცხელ წყალში გახსნილი და გამოკრისტალებით, გაწმენდილ შაბის კრისტალებს იღებენ [გელაშვილი 2002:199].

ახალგორთან რაინეგსი რკინის ოქრისა და გემატიტის პლასტების არსებობას ადასტურებს, რომლებსაც საღებავად იყენებდნენ [გელაშვილი 2002:195]. საღებავებით მეფე ერეკლეს დაინტერესებაზე ის ფაქტი მიუთითებს, რომ მისი დავალებით რაინეგსი სომხეთში გაემგზავრა და არარატის მიდამოებში საძიებო სამუშაოები ჩაატარა კერმეს-ჩერვეცის მოსაპოვებლად (ძირითადად არარატის მიდამოებში გავრცელებული ეს მწერი ძვირფას საღებავ მასალას - კარმინს ანუ ჭიაფერს იძლევა). წარმატებული ძიების შემდგომ ეს კერმეს-ჩერ-ვეცი მან ერეკლეს ჩამოუტანა, რითაც მეფის დიდი მადლობა დაიმსახურა [გელაშვილი 2002:39]. რაინეგსს უყურადღებოდ არც მინერალური წყლები დაუტოვებია, რომელთა მიმართ ის როგორც

პროფესიონალი ექიმი, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს. თერგის მახლობელ მთებში, მისი ცნობით, “სათავეს იღებს ყველაზე უფრო გამაგრებელი და განმკურნებელი მინერალური წყლები”. მრავალი სამკურნალო წყაროს არსებობა დაადასტურა მან ბოლნისშიც, წუხილით აღნიშნა, რომ კობთან მდებარე რკინის შემცველი განსაცვიფრებელი წყაროები გამოუყენებელი რჩება [გელაშვილი 2002: 152, 159, 196]. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ცნობა ბოლნისის მინერალური წყლების შესახებ. თუმცა აქ მრავალი სამკურნალო წყარო არის, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა არცერთ მათგანს არ იყენებს, ვინაიდან ქართველობა “მიჩვეულია ტკბილ ღვინოს ” და შესაბამისად “ეჯავრება მისი მჟავე გემო”. თუმცა მისივე სიტყვებით, მოსახლეობა ”იმდენად ჭკვიანია და მზრუნველი..., რომ თავის ავადმყოფ საქონელს ამ წყაროებისაკენ მიერეკვება, რადგან მათი გამოჯანმრთელება გამოცდილებითაა დამტკიცებული” [გელაშვილი 2002:159].

ქვეყნის რამდენიმე კუთხეში რაინეგსმა ნავთობის საბადოების არსებობაც დაადასტურა (გელათთან, ნავთლულთან), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდი რაოდენობით საწვავად და საცხ მასალად იყენებდა [გელაშვილი გ. 2002:190, 197-198]. ნავთობისაგან განსხვავებით ქვანახშირი ქვეყანაში აუთვისებელი ჩანს. მისი საბადოები მკვლევარმა ქართ-ლში, სოფელ ცხრამუხასთან და სურამთან გამოავლინა [გელაშვილი გ. 2002:192]. ამაზე ის უთუოდ ერეკლეს მოეთათბირებოდა და მათ შეიძლება სამომავლო გეგმაც დაესახათ ამ საწვავის საწარმო მასშტაბების ათვისებასთან დაკავშირებით. ლეჩხუმის ერთ-ერთ სოფელთან რაინეგს მიკვლეული აქვს რკინის მადნის მძლავრი საბადო, თანმდევი ტყვიის კრიალითა და ანთიმონიტით. რაჭაში სოფელ კუდაროსთან მისი ყურადღება მიიქცია რკინის საბადომ, რომელიც მადნის უჩვეულო ზომებით გამოირჩეოდა [გელაშვილი 2002:189]. რკინის ბევრი მადანი მოიპოვება აფხაზეთში და მისი გამოდნობის პროცესი პატარა ქურებით საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი “მოგზურობაში”. რკინის წარმოების მსხვილი ცენტრი რეინეგსს დაფიქსირებული აქვს ბოლნისში [გელაშვილი 2002:159, 185-187].

სპილენძის მადანი რეინეგსმა ქვეყნის მიდამოებში მოინახულა. ამ მადნების არსებობას საკმაოდ დიდი რაოდენობით ის ადასტურებს ლორეში, ლორეს მეზობელ უზუნლარში, შულავერში. მათი ექსპლუატაციის შესახებ თუმცა ავტორი არაფერს ამბობს, მაგრამ კონტექ-სტით ის უდაოდ იგულისხმება [გელაშვილი გ. 2002:159-160]. სამაგიეროდ ამის შესახებ რაინეგსი პირდაპირ აცხადებს ავალისციხის (აწყურიდან ჩრდილოეთით) მიდამოებში არსე-ბული სპილენძის მადანთან დაკავშირებით, როდესაც აღნიშნავს, რომ ამუშავებენ სპილენძის მადანს [გელაშვილი 2002: 192].

ოქროსთან და ვერცხლთან დაკავშირებით რაინეგსი ძირითადად მათ გადამუშავებულ სამთო-მეტალურგიულ წარმოებებს ასახელებს. მისი ცნობით, ამ მეტალებით მდიდარი მადნე-ბიდან ოქრო-ვერცხლს აღნობენ ახტალის ლითონსადნობ ქარხანაში, რომლის შენობადაც მთავრის ყოფილი სასახლეა გამოყენებული. მკვლევრის მონაცემით, 1780 წელს ამ საბადოს გამომუშავებით მიღებულმა სარგებელმა ვერცხლით 60000 მანეთი, ხოლო ოქროთი 3200 მანეთი შეადგინა. რაც შეეხება ოქროს, ვერცხლის და ტყვიის საბადოებით მდიდარ დამბლუტს, იქ მეტალების რეწვა, როგორც ეტყობა, დროებით იყო შეჩერებული, ვინაიდან როგორც რაინე-გსი აღნიშნავს “მთის წყალმა მათი ძარღვები აავსო”. მოსაპოვებელი სამუშაოები შეფერხებული ჩანს ძალიანაშიც, სადაც არის “საუკეთესო მადანი ოქროს შემცველი ვერცხლისა, ტყვიისა და სპილენძისა”. მისი აზრით: ტერიტორია “სურამიდან, ცხინვალიდან, ძალინიდან ახალგორა-მდე, მდიდარი საბადოების გამო გამოკვლევის ღირსია” [გელაშვილი 2002: 159-160, 184, 192].

მდინარე ცხენისწყლზე, რაინეგსის ცნობით, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, რამდენიმე ებრაელი ოჯახი ქვიშრობ ოქროს მოპოვებას აწარმოებდა. ამით ისინი ერთგვარად აგრძელებ-დნენ ცხვრის ტყავით მდინარის ოქროს მოპოვების ძველ ტრადიციებს, რომლებსაც მრავალი საუკუნის წინ საფუძველი ჩაუყარეს კოლხებმა. სამწუხაროდ, როგორც ირკვევა, ამ სარეწის ფუნქციონერებმა თურქების შემოსევის შემდეგ შეწყდა და აღარ განახლებულა [გელაშვილი 2002:182].

რაინეგსმა საქართველოს წიაღისეულის შესწავლასთან ერთად თავი გამოიჩინა ერეკლესეულ სამთო-მეტალურგიულ წარმოებებში მთელი რიგი ტექნიკური სიახლეების დანერგვით და პრაქტიკული რეკომენდაციებით. ამის შესაძლებლობას მას აძლევდა ის საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც ამ სფეროში თეორიულად და პრაქტიკულად მიიღო გერმანიაში და უნგრეთში. არ არის გამორიცხული, რომ მას ზოგიერთი გაუმჯობესებები შეეტანა ოქროსა და ვერცხლის დნობის საქმეში (ამ ორ მეტალს ასახელებს მკვლევარი თავისი დამსახურებების ჩამოთვლისას, მისი ხელმძღვანელობით უნდა აეთვისებინათ ქართველებს თუჯის გამოდნობის პროცესი, რომელიც პირველ რიგში თუჯის ზარბაზნების ჩამოსასხმელად იყო საჭირო. მანამდე ეს ზარბაზნები რაინეგსის სიტყვებით “ძვირად და გაჭირვებით რუსეთიდან მოჰქონდათ” [გელაშვილი 2002:90]. რაც შეეხება თუჯის ზარბაზნების ადგილობ-რივი წარმოების ორგანიზაციას, ის რაინეგსს ერეკლეს არტილერიის უფროსთან (“თოფჩიბა-შთან”) პაატა ანდრონიკაშვილთან ერთად უნდა განეხორციელებინა. თოფჩიბაში რუსეთში განსწავლული პროფესიონალი არტილერისტი იყო, რომელმაც, დავით ბატონიშვილის ცნობით, ერეკლეს არტილერია რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა. სწორედ ამ გარდაქმნის ერთ-ერთ შემადგენელ ღონისძიებებს შეადგენდა მისი და რაინეგსის ხელმძღვანელობით ქართულ საარტილერიო პარკის ახალი, ადგილობრივ წარმოებული ზარბაზნებით დაკომპლექტება [გელაშვილი 2002:39,90]. რაინეგსის სხვა ნოვატორული წამოწყებებიდან აღსანიშნავი მადანსადნობ ღუმელებში ჰაერის ხელის საბერველების შეცვლა მექანიკური საბურველებით, რომელიც წყლის ენერჯის საშუალებით მუშაობდა. თოფისწამლის ნაყვის პროცესის ინტესი-ფიცირების მიზნით, მის მიერ შემოთავაზებული იქნა უფრო მაღალი წარმადობის სანაყის მოდელი და ა.შ. [გელაშვილი 2002:39].

რაინეგსის მიერ ჩატარებულ კვლევებს და პრაქტიკულ ღონისძიებებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამთო-ტალურგიული წარმოებების განვითარებისათვის. შესაბამისად, მეფე ერეკლეც მადლიერი იყო და დიდად აფასებდა გერმანელი სტუმრის ნამოღვაწარს. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაინეგსმა, რუსეთის ემისარმა ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის სასახლეში (1777-1781), გარდა მისი განსაკუთრებული მოვალეობის შესრულებისა, როგორცაა მინერალური რესურსების, მინერალური წყლების, ლითონების, ნახევრადძვირ-ფასი ქვების და ნავთობის შესწავლა ნებისთნა თუ უნებლიედ საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს ცხოვრებაში. მისი და სხვა მკვლევართა მონაცემების საფუძველზე, რუსეთის მთავრობას გადამეტებული წარმოდგენა შეექმნა ქვეყნის წიაღისეულზე, განსაკუთრებით კი ოქრო-ვერცხლზე და სწორედ ეს გახდა მის მიერ საქართველოს ექსპანსიის ერთ-ერთი მიზეზი. თავად რაინეგსმა, ავანტიურისტმა და რუსეთის ემისარმა წარმატებით შეასრულა თავისი მისია, დაარწმუნა მეფე ერეკლე ხელი მოეწერა გეორგიევსკის ტრაქტატზე და ამ მიღწევაში თავისი ხელმოწერით გააძლიერა თავისი წვლილი.

დამპყრობელმა რუსეთმა კი ბოლო მოუღო ბაგრატიონთა დინასტიის ათასწლოვანზე მეტი ხნის მეფობას და თავისი „გამარჯვების“ აღსანიშნავად საიუბილეო მონეტაც კი გამოუშვა [კაპანაძე 1950:103]. ორთავიან არწივს ბრჭყალებში ოქრო-ვერცხლის მადნების სიმბოლოდ გადქცეული ოქროს საწმისი უჭირავს, ხოლო ქვემოთ განთავსებული წარწერა : “Похищенное-возвращает“ მიზნად ისახავს ცინიკურად დაგვარწმუნოს, რომ ბერძენი არგონავტების მიერ გატაცებული ამ საწმისის სათავისოდ გამოტაცება, თურმე კანონიერი მფლობელისათვის – რუსეთის იმპერიისათვის (და არა საქართველოსათვის!) წართმეულის უკან დაბრუნებას ნიშნავს.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი გ. (2002): *Jacob Reineggs, Reise in Georgian, Georgisch ubersetzt und herausgegeben von Gia GelaShvili*. თბილისი: არტანუჯი
2. კაპანაძე დ. (1950): *ქართული ნუმიზმატიკა*, თბილისი., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3. ლექსიკონი (2007): *საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, თბილისი
4. ნარკვევები (1979): საქართლოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი: საბჭოთა საქართველო
5. Reineggs, Jacob (1797): *Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus*. 2 Bde. Gotha und St. Petersburg: Gerstenberg und Dittmar

Manana Pkhakadze, Ketevan Gardapkhadze

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: makopkh@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.17>

SJIF 2024: 8.268

Jacob Rainergs and Georgia

Abstract

The 18 th century German traveller, the emissary of Russia to the palace of the King of Kartl-Kakheti, Erekle II in 1777-1781, adventurer Jacob Rainergs (1744-1793), in addition to performance of his special task (study of mineral resources, mineral waters, metals, semi-precious stones, oil in Georgia) put a certain imprint on the cultural-educational and natural science-technical life of the country. He introduced many European technical novelties in the Georgian practice. Jacob Rainergs successfully accomplished his mission, convinced the King Erekle to sign the Treaty of Georgievsk and enhanced his contribution to this fact by his signature.

Key Words: Rainergs, [Georgia](#), [History](#), mineral resources

რეცენზენტი: პროფესორი პაატა სურგულაძე